თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1750980

ნომერი: AR1287792

თარიღი : 19.02.2015

გაცემის თარიღი : 24.02.2015

გაცნობის თარიღი : 24.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , 1.6კმ -ზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ბასილაშვილი პ/ნ 01024008294
- ა.წერეთლის გამზ. 117

ორგანიზაცია:
- შპს "ნუგეში" კოდი: 404865231

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

<u>ტერიტორიაზე პირველი კლასის მანათობელი სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.</u>

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 1,6 კმ-ზე, შპს "ტირიფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №016/057) I კლასის მანათობელი სარეკლამო აბრის განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882015028637 28.01.2015წ. საკადასტრო კოდი №01.13.01.016.057, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 1,6 კმ-ზე, შპს "ტირიფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №016/057) I კლასის მანათობელი სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ მანათობელი სარეკლამო აბრა განთავსდეს შპს "ტირიფი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში და უზრუნველყოფილი იქნას მისი კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.